პირველკურსელთა რეგისტრაციის შესახებ

2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თსუ-ში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით **პირველკურსელი ვალდებულია:**

• 2010 წლის **13 სექტემბრიდან 18 სექტემბრის** ჩათვლით გაიაროს **ადმინისტრაციული რეგისტრაცია,** რაც გულისხმობს სწავლის საფასურის გადახდას. სტუდენტს თანხის გადახდა შეუძლია *"ლიბერთი ბანკის", "თი-ბი-სი ბანკისა" და "ბანკ რესპუბლიკის"* ნებისმიერ ფილიალში.

• 2010 წლის 13 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით შეავსოს ანკეტის ელექტრონული ვერსია ვებ-გვერდის (www.tsu.edu.ge) მეშვეობით

მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის (ასლი);
2. წვევამდელის მოწმობა ვაჟებისათვის (ასლი);
3. საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობა (ატესტატი);
4. თანხის გადახდის ქვითარი (ასლი)
5. 3 ფოტოსურათი (3X4) ელექტრონულ ვერსიასთან ერთად.

რეგისტრაცია იწარმოებს 13 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით 10:00-დან 17:00 სთ-მდე თსუ-ს XI კორპუსში.

რეგისტრაციის ეტაპები

I ეტაპი - ანკეტის ელექტრონული ვერსიის შევსება ვებ-გვერდის (http://www.tsu.edu.ge) მეშვეობით;

II ეტაპი - შევსებული ანკეტის შემოწმება (ოთახი №302-304);

III ეტაპი - ადმინისტრაციული რეგისტრაცია (ოთახი №319, 320). სავალდებულოა ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტების წარმოდგენა;

IV ეტაპი - სტუდენტურ ბაზაში ინდივიდუალური პაროლის აღება (ოთახი №302-304);

V ეტაპი - კონსულტაცია აკადემიური რეგისტრაციისათვის (ოთახი №318), ტუტორები დაგეხმარებიან სასურველი საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი საგნების შერჩევაში;

VI ეტაპი - აკადემიური რეგისტრაცია, საიტზე **http://sms.tsu.ge** შერჩეული საგნების დაფიქსირება (შეგიძლიათ ისარგებლოთ თსუ **XI** კორპუსის რესურს-ცენტრით ან ინტერნეტის ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერით).

<u>შენიშვნა:</u> მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების საბაკალავრო პროგრამებზე შეიძლება დარეგისტრირდეს სტუდენტი, რომელსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს საგანი "მათემატიკა" (გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი) ან მიღებული აქვს კრედიტი საგანში "კალკულუსი" დონის შესაბამისად.